საქსტატი

www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები

## 2024 წელი



28.02.2025

www.geostat.ge

28.02.2025

## პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მაჩვენებლები
(2024 წელი)

2024 წელს საქართველოში 122 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა, მათ შორის 75 საჯარო, ხოლო 47 კერძო.

2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში 17.1 ათასი სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 49.7 პროცენტი ქალია, ხოლო 50.3 პროცენტი - კაცი. 2023 წელთან შედარებით სტუდენტების მიღების მაჩვენებელი გაზრდილია 10.3 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №1

**ჩარიცხული სტუდენტების განაწილება პროგრამების მიხედვით, 2024 წელს**



28.02.2025

რეგიონების მიხედვით, ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობით ლიდერობენ ქ. თბილისი (36.4%), აჭარა (18.6%), იმერეთი (11.9%), ქვემო ქართლი (10.1%), სამეგრელო-ზემო სვანეთი (8.9%) და კახეთი (4.8%).

2024 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 257 სტუდენტი ჩაირიცხა, რომელთაგან 31.1 პროცენტი ქალია, ხოლო 68.9 პროცენტი კაცი. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხა ქ.თბილისში (47.1%).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №2

**სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ჩარიცხული სტუდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით, 2024 წელს**



28.02.2025

2024 წელს, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობამ 9.5 ათასი შეადგინა, რომელთაგან 47.7 პროცენტი ქალია, ხოლო 52.3 პროცენტი კაცი. კურსდამთავრებულთა უმეტესობა მოდის ინჟინერიის, წარმოების და მშენებლობის (24.6%), მომსახურებების (20.3%), ბიზნესის, ადმინისტრირების და სამართლის (13.5%) პროგრამებზე.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2024 წელს.

დიაგრამა №3

## კურსდამთავრებულთა განაწილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, 2024 წელს




**საკონტაქტო პირები:**

ვასილ წაქაძე, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge